ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № 39

ინტერნეტ მომსახურების "GSS **ვებ კოდექსის**" შესახებ
(ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ)

ქ. თბილისი

01.08.2016

ჩვენ ქვემორე ხელის მომწერნი, ერთი მხრივ - **ა(ა)იპ „ოუფენ ნეტი"** (შემდგომში **დამკვეთი)** (ს/კ 404497790, მისამართი: 0105, თბილისი, სულხან-საბას ქ. #9, საბანკო მონაცემები: სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, ხაზინის ერთიანი ანგარიში, ა/ა 302007000) წარმოდგენილი მისი დირექტორის **ნინო ქუბინიძის** სახით,
და მეორე მხრივ, **შ.პ.ს. "ქართული პროგრამული სისტემები"** (შემდგომში **მიმწოდებელი**)წარმოდგენილი მისი ადმინისტრაციული დირექტორის, **გრიგოლ გრძელიშვილის** სახით, ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია **www.gsscode.ge** ვებ-გვერდზე განთავსებული კოდიფიცირებული ნორმატიული აქტების გამოყენების უფლების გადაცემის მომსახურება **(cpv – 48600000)** გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად.

2. შესასრულებელი სამუშაოს ღირებულება, გადახდის ვადები და პირობები

2.1 „GSS ვებ კოდექსის" მომსახურების ღირებულება 1 თვის განმავლობაში 1 მომხმარებლისთვის შეადგენს 49,00 (ორმოცდაცხრა) ლარს დღგ-ს ჩათვლით და მასზე მომსახურების ვადა განისაზღვრება 2016 წლის 1 აგვისტოდან - 31 აგვისტოს ჩათვლით. აღნიშნული თანხა შეიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.
2.2 შემდგომ ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში ანგარიშსწორება ხორციელდება ყოველთვიურად.

3. ანგარიშსწორების პირობები

3.1 დამკვეთი იხდის 2,1 პუნქტის მიხედვით წარმოშობილ ღირებულებას ყოველთვიურად, ეროვნული ვალუტით, უნაღდო ანგარიშსწორებით მიმწოდებლის მიერ მითითებული რეკვიზიტების მიხედვით მხარეთა შორის წინასწარ შეთანხმებული ამავე კონტრაქტში მითითებული ფასების შესაბამისად.
3.2 ანგარიშსწორების ვადა: მომსახურების მიღებიდან არა უმეტეს 15 კალენდარული დღისა.
3.3. ანგარიშსწორება განხორციელდება 2016 წლის გრანტის სახსრებით.

4. ცვლილებები

4.1 ხელშეკრულებაში წინასწარ შეთანხმებული ფასების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები **შემსყიდველისთვის**. ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ "საქართველოს სამოქალაქო კოდექსის" 398-ე მუხლის თანახმად, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ იქნება ინფლაციის მაღალი დონე, სავალუტო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილება, საგადასახადო რეჟიმის შეცვლა და სხვა გაუთვალისწინებელი გარემოებები.
4.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების **დანართის** სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

5. ფორსმაჟორი

5.1 ხელშეკრულების პირობების დარღვევად არ ჩაითვლება, შემთხვევა, როცა რომელიმე მხარე ვერ მოახერხებს თავისი მოვალეობის შესრულებას ფორსმაჟორული მოვლენების ზემოქმედების გამო.
5.2 ფორსმაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს,

დამკვეთი _____ მიმწოდებელი _____

5.2 ფორსმაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული **შემსყიდველისა** და **მიმწოდებლის** შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

5.3 ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხეხრხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორსმაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

5.4 ფორსმაჟორული გარემოებების აღმოფხვრის შემდეგ მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ახალ ვადებზე.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 **დამკვეთს** უფლება აქვს განახორციელოს მომსახურების "GSS ვებ კოდექსის" კონტროლი, რათა დარწმუნდეს სამუშაოს შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

6.2 თუ შემოწმების შედეგად გამოვლენილი იქნა, რომ "GSS ვებ კოდექსს" გააჩნია რაიმე დეფექტი **მიმწოდებელი** ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ხარვეზების აღმოფხვრა.

7. მხარეთა უფლება მოვალეობები

7.1 ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოშობილი სადაო საკითხები წყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმების გზით. უთანხმოების შემთხვევაში დავა განიხილება სასამართლოში საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7.2 **შემსრულებელი** ვალდებულია **დამკვეთის** მიერ მოთხოვნილ gss.ge ვებ გვერდზე რეგისტრირებული მომხმარებლისთვის ორი სამუშაო დღის განმავლობაში მოახდინოს შეძენილი მომსახურების, **"GSS ვებ კოდექსის"**, აქტივაცია.

7.3 **დამკვეთი** ვალდებულია ტელეფონის ან ელ-ფოსტის დახმარებით მიაწოდოს **შემსრულებელს** gss.ge ვებ გვერდზე რეგისტრირებული იმ მომხმარებელთა ელ-ფოსტის მისამართები, ვისთვისაც მოხდება "GSS ვებ კოდექსის" აქტივაცია.

7.4 **დამკვეთის** მიერ ანგარიშსწორების შეუსრულებლობის ან დაგვიანების შემთხვევაში **შემსრულებელს** აქვს უფლება წამოაყენოს პრეტენზიები.

7.5 იმ შემთხვევაში, თუ **დამკვეთის** მიერ აღმოჩენილი იქნება რაიმე შეცდომა **"GSS ვებ კოდექსთან"** მუშაობისას, **შემსრულებელი** ვალდებულია აღმოფხვრას არსებული უმოკლეს ვადაში, რომელიც დათქმული იქნება ორივე მხარის მიერ.

7.6 აღნიშნული კონტრაქტით დადგენილი ფასების ცვლილების შემთხვევაში **შემსრულებელი** ვალდებულია წინასწარ (არანაკლებ 1 კვირით ადრე) ელექტრონული ფოსტის ან ტელეფონის საშუალებით აცნობოს **დამკვეთს** აღნიშნულის შესახებ.

7.7 www.gsscode.ge გვერდზე განთავსებული ნორმატიული აქტების ელექტრონული მომსახურების სისტემით სარგებლობის უფლება განკუთვნილია ერთი რაოდენობის www.gsscode.ge ვებ გვერდზე რეგისტრირებული მომხმარებელთათვის. იმ შემთხვევაში თუ აღმოჩენილი იქნება, რომ ამ მომსახურებას იყენებს მეტი მემომხმარებელი, შემსრულებელს უფლება აქვს გადახდილი თანხის დაბრუნების გარეშე შეუწყვიტოს აღნიშნული მომსახურება დამკვეთს.

7.8 იმ შემთხვევაში, თუ **დამკვეთი** ხელშეკრულების პირობებს არ შეასრულებს, **შემსრულებელს** აქვს უფლება:

- გადაიტანოს შესასრულებელი სამუშაოს ვადა;
- მოითხოვოს ხელშეკრულების გაუქმება;
- მოითხოვოს იმ ხარჯების დაფარვა, რომლებიც გამოწვეული იქნა ამ სამუშაოს შეწყვეტით, ან შესასრულებელი სამუშაოს ვადის გადატანით.

7.9 **მიმწოდებლის** მიერ სამუშაოს შეუსრულებლობის ან უხარისხოდ შესრულებისას, **დამკვეთს** აქვს უფლება წარუდგინოს პრეტენზიები და გააფორმოს ისინი შეტყობინების სახით.

Georgian Software Systems Ltd.

დამკვეთი _____ მიმწოდებელი _____

7.10 დამკვეთი ვალდებულია დროულად მოახდინოს ხელშეკრულებაში ჩამოყალიბებული ფინანსური ანგარიშსწორება.
7.11 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლიარად. ერთი – **დამკვეთს,** მეორე – **მიმწოდებელს**.

8. სანქციები

8.1 დამკვეთის მხრიდან ფინანსური ანგარიშსწორების დაგვიანების შემთხვევაში, **დამკვეთს** ავტომატურად შეუწყდება მომსახურება "GSS **ვებ კოდექსი"**.

9. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

9.1 დამკვეთს უფლება აქვს განახორციელოს მომსახურების **"GSS ვებ კოდექსის"** მონაცემთა ბაზის კონტროლი, რათა დარწმუნდეს სამუშაოს შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.
9.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ყოველდღიურ კონტროლს და მიღება-ჩაბარებას **დამკვეთის** მხრიდან განახორციელებს გიორგი გელოვანი.

10. ინტერესთა კონფლიქტი

10.1. ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმომწერი და კონტროლის განმახორციელებელი პირები სრულად აკმაყოფილებენ ამ კანონის მოთხოვნას და არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან.
11.2 ხელშეკრულების ხელმომწერნი ვალდებულნი არიან წერილობით ან ელექტრონული ფოსტით აცნობონ ერთმანეთს მომსახურების შეწყვეტის შესახებ მინიმუმ ათი სამუშაო დღით ადრე.
11.3 მომსახურების ვადის გასვლის შემდეგ **დამკვეთს** ეძლევა "GSS ვებ კოდექსის" მომსახურებასთან შეზღუდული მუშაობის საშუალება. **მიმწოდებელი** იტოვებს უფლებას თვითონ განსაზღვროს ამ შეზღუდვების ფარგლები.
11.4 ხელშეკრულება ძალაშია 2016 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

12. მხარეთა ხელმოწერები

დამკვეთი:

(ბეჭედი: ოუფენ ნეტი, OPEN NET, 404497790)

მიმწოდებელი:

(ბეჭედი: Georgian Software Systems Ltd., GSS, 202198754)

დამკვეთი ________________

მიმწოდებელი ________________ (Georgian Software Systems Ltd.)